შრომითი პირობები საკონკურსო თანამდებობებისთვის

მ კ ვ ლ ე ვ ა რ ი

მკვლევარი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კვლევით საქმიანობას, რომელსაც წარმართავს აკადემიური თავისუფლების, სამეცნიერო ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე.

1. **მკვლევარის ძირითადი თანამდებობრივი მოვალეობები:**

1.1. მონაწილეობა მიიღოს, განყოფილების ხელმძღვანელის დავალებით ან მასთან შეთანხმებით, განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, კვლევის თავისუფლების პრინციპის დაცვით;

1.2. უზრუნველყოს საკუთარი სამეცნიერო საქმიანობის შედეგების გამოქვეყნება ადგილობრივ და საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო გამოცემებში, მონაწილეობა მიიღოს კონფერენციებში, სემინარებსა და სამეცნიერო ფორუმებში;

1.3. სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების, მოხსენებებისა და სხვა აკადემიური პროდუქციის გამოქვეყნებისას, აგრეთვე, კონფერენციებში და სამეცნიერო ვორქშოპებში, სეზონურ სკოლებსა და სხვა ფორმატის სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობისა და პრეზენტაციის წარდგენისას, სამუშაო ადგილად, აფილაციის სახით, მიუთითოს ობსერვატორია, წინასწარ განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით:

ა) Evgeni Khradze Georgian National Astrophysical Observatory, Abastumani, Georgia;

ბ) Georgian National Astrophysical Observatory, Abastumani, Georgia;

გ) Abastumani Astrophysical Observatory, Georgia.

1.4. მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო პროექტების, გრანტების, პროგრამებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელებაში, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის, განაცხადებისა და მიმდინარე ანგარიშების მომზადებაში;

1.5. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს მეცნიერების პოპულარიზაციისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებში;

1.6. ყოველწლიურად, განსაზღვრული ფორმის დაცვით, სამეცნიერო საბჭოს წარუდგინოს შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში;

1.7. დაიცვას ობსერვატორიის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესები და იმოქმედოს მათ ფარგლებში.

2. სხვა შრომითი პირობები

2.1. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე ბრძანებით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი და დებს მასთან შესაბამის შრომით ხელშეკრულებას, 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდზე;

2.2. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით.

შრომითი პირობები საკონკურსო თანამდებობებისთვის

2.3. სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).

2.4. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად.

2.5. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული პირი ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით, ობსერვატორიის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.

შრომითი პირობები საკონკურსო თანამდებობებისთვის

ა ს ი ს ტ ე ნ ტ - მ კ ვ ლ ე ვ ა რ ი

ასისნენტ-მკვლევარი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელსაც წარმართავს აკადემიური თავისუფლების, სამეცნიერო ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე.

1. ასისტენტ-მკვლევარის ძირითადი თანამდებობრივი მოვალეობები:

1. მონაწილეობა მიიღოს, განყოფილების ხელმძღვანელის დავალებით ან მასთან შეთანხმებით, განყოფილებაში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერაში, კვლევის თავისუფლების პრინციპის დაცვით;
2. სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების, მოხსენებებისა და სხვა აკადემიური პროდუქციის გამოქვეყნებისას, აგრეთვე კონფერენციებში და სამეცნიერო ვორქშოპებში, სეზონურ სკოლებსა და სხვა ფორმატის სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობისა და პრეზენტაციის წარდგენისას, სამუშაო ადგილად აფილაციის სახით მიუთითოს ობსერვატორია წინასწარ განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით:
3. ა) Evgeni Khradze Georgian National Astrophysical Observatory, Abastumani, Georgia;
4. ბ) Georgian National Astrophysical Observatory, Abastumani, Georgia;
5. გ) Abastumani Astrophysical Observatory, Georgia.
6. მონაწილეობა მიიღოს, უშუალო ხელმძღვანელის დავალებით, კვლევით თემატიკასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და მიმდინარე ანგარიშების მომზადებაში;
7. დაიცვას ობსერვატორიის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესები და იმოქმედოს მათ ფარგლებში.

2. სხვა შრომითი პირობები:

1. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე ბრძანებით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი და დებს მასთან შესაბამის შრომით ხელშეკრულებას, 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდზე;
2. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით.
3. სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი);
4. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად;
5. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული პირი ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით, ობსერვატორიის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.

შრომითი პირობები საკონკურსო თანამდებობებისთვის

ლ ა ბ ო რ ა ნ ტ ი

ლაბორანტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ტექნიკურ მხარდაჭერას, რომელსაც წარმართავს სამეცნიერო ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე.

1. ლაბორანტის ძირითადი თანამდებობრივი მოვალეობები:

1. მონაწილეობა მიიღოს, განყოფილების ხელმძღვანელის დავალებით ან მასთან შეთანხმებით, გეგმიური სამუშაოებისა და სამეცნიერო კვლევებისათვის საჭირო მასალების, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებაში;
2. უზრუნველყოს სამეცნიერო კვლევების ტექნიკური მხარდაჭერა და თვალყური ადევნოს სამუშაო პროცესში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარების, ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აღჭურვილობის გამართულ მდგომარეობას;
3. მონაწილეობა მიიღოს ექსპერიმენტების ან/და დაკვირვებების ჩატარების პროცესში, განახორციელოს შესაბამისი დამხმარე და ტექნიკური სამუშაოები, აწარმოოს სამუშაო ჟურნალი ან/და ტექნიკური ჩანაწერები;
4. მონაწილეობა მიიღოს ექსპერიმენტული, დაკვირვებითი და სხვა ტიპის კვლევითი მონაცემების სისტემატიზაციასა და პირველად დამუშავებაში;
5. გაუფრთხილდეს ობსერვატორიის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, სამეცნიერო ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას და გამოიყენოს ისინი დანიშნულების შესაბამისად;
6. სამეცნიერო ნაშრომების, სტატიების, მოხსენებებისა და სხვა აკადემიური პროდუქციის გამოქვეყნებისას, აგრეთვე კონფერენციებში და სამეცნიერო ვორქშოპებში, სეზონურ სკოლებსა და სხვა ფორმატის სამეცნიერო შეხვედრებში მონაწილეობისა და პრეზენტაციის წარდგენისას, სამუშაო ადგილად აფილაციის სახით მიუთითოს ობსერვატორია წინასწარ განსაზღვრული ერთ-ერთი ფორმით:
7. *ა) Evgeni Khradze Georgian National Astrophysical Observatory, Abastumani, Georgia;*
8. *ბ) Georgian National Astrophysical Observatory, Abastumani, Georgia;*
9. *გ) Abastumani Astrophysical Observatory, Georgia.*
10. უშუალო ხელმძღვანელის დავალებით მონაწილეობა მიიღოს კვლევით თემატიკასთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და მიმდინარე ანგარიშების მომზადებაში;
11. დაიცვას ობსერვატორიის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესები და იმოქმედოს მათ ფარგლებში.

2. სხვა შრომითი პირობები:

1. კონკურსის წესით შერჩეულ კანდიდატს, პირადი განცხადების საფუძველზე, შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (განყოფილების) შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე ბრძანებით ნიშნავს ობსერვატორიის დირექტორი და დებს მასთან შესაბამის შრომით ხელშეკრულებას, 2027 წლის 30 აპრილის ჩათვლით პერიოდზე;

შრომითი პირობები საკონკურსო თანამდებობებისთვის

2. შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგის გათვალისწინებით;
3. სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი);
4. სხვა შრომითი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, კვლევითი საქმიანობისთვის ხელშეუშლელად;
5. შრომითი ურთიერთობისას დასაქმებული პირი ისარგებლებს ყველა იმ უფლებით, რაც მინიჭებული აქვს საქართველოს შრომის კოდექსით, ობსერვატორიის შინაგანაწესითა და შრომითი ხელშეკრულებით.